# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 279

„14" ივნისი 2024 წ

ქ. თბილისი

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შპს „სისხლის გადასხმის საქალაქო სადგურის" (ს/ნ 202887787) დაშლის / ლიკვიდაციის დაწყების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 106[1] მუხლის პირველი და მე-4 პუნქტებისა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შპს „სისხლის გადასხმის საქალაქო სადგურის" (ს/ნ 202887787) დაშლის/ლიკვიდაციის დაწყების თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსგან თანხმობის მიღების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 12 ივნისის №24.1008.1139 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შპს „სისხლის გადასხმის საქალაქო სადგურის" (ს/ნ 202887787) დაშლის / ლიკვიდაციის დაწყების თაობაზე.
2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე